გაზეთი ღირს

| თთვე | მან. კ. | თთვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

# ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათ-დასაბეჭდათ უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, კუკიაში, ავჭალის ქუჩაზედ, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში; წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელიარიას, სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში, სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1892    საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი    1877—1892


## „ივერია“

გამოვა 1892 წელსაც იმავე პროგრამით, როგორც აქამდე.

**ვისაც ჰსურს დაიკვეთოს გაზეთი ამ 1892 წლისათვის მიჰმართოს:**

**ტფილისში:** ა) თითონ რედაქციას, ნიკოლოოზის ქუჩაზედ, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში, № 21; ბ) „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ კანცელარიას, სასახლის ქუჩაზედ, თავად-აზნაურთა საადგილ-მამულო ბანკის ქარვასლის გალერეიაში.

ტფილისის გარედ მცხოვრებთა უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

**Тифлисъ. Въ редакцію грузинской газеты „ИВЕРІЯ“.**

რედაქცია ამასთანავე აცხადებს, რომ იგი გაზეთის გაგზავნის გამო პასუხის მგებელ იქნება მარტო იმ ხელის-მომწერთა წინაშე, ვინც გაზეთის დაკვეთისათვის შესახვედრს ფულს პირდაპირ რედაქციაში და ან „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ კანცელარიაში წარმოადგენს, ანუ გამოგზავნის.

გაზეთის ფასი დაბეჭდილია გაზეთის სათაურშივე, ხოლო სრული პირობანი გაზეთის დაკვეთისა გამოცხადებულია უკანასკნელს გვერდზედ.

ტფილისი, 18 ივლისი

არის ბევრი იმისთანა საგანი, რომელზედაც, რაც უნდა ბლომად და ხშირად ილაპარაკო, არც და მწერს მოსწყინდება და არც მკითხველს. მალ-მალე მოგონება ასეთის საგანისა, ჯეროვანი ყურადღება სარგებლობის მეტს არაფერს არ მოიტანს. ამ აზრით ვხელმძღვანელობთ დავუბრუნდებით ისევ ჩვენს სოფელს და მის საჭიროებას, რომელზედაც ამას წინად ჩამოვაგდეთ საუბარი მკითხველთან.

მაშინაცა ვსთქვით და ეხლაც ვიმეორებთ, რომ სოფელი ნივთიერად ისე ღონიერი არ არის, როგორც ქალაქი; რომ ამის გამო გაჭირვებაშია სოფელი, უნუგეშო და უმწეო რჩება; რომ თვით ქალაქის კეთილდღეობისათვის დიდად საჭიროა სოფლის კეთილდღეობა. სოფელს რომ ხოლერისთანა უბედურება ეწვევა, აღარ იცის ხოლმე როგორ მოუაროს თავს, რადგან არც საჭირო ცოდნა აქვს, არც ნივთიერი ქონება. სოფლის მეზობელი ისევე სოფელია, ღარიბი, უსწავლელი, მაშასადამე, რითი უნდა დაეხმაროს გაჭირვებაში მეზობელს? არაფრით.

სულ სხვაა ქალაქი. აქ სწავლაც ბევრია და სიმდიდრეც იმოდენაა შეკრეფილი, რომ სოფელი სიზმარშიაც ვერა ნახამს. ამისათვისაცაა, რომ სენთან ბრძოლა ქალაქში ადვილია და სოფელში-კი ძნელი. მაგალითისათვის ავიღოთ ისევ ჩვენი დედა-ქალაქი ტფილისი. აუარებელი ფული დახარჯა ხოლერასთან საბრძოლველად, მრავალს ალაგას სამკურნალო დაიმართა, დარაჯებად ფერშალ-ექიმები დააყენა, უხვად წამლები დაამზადა, ქუჩები დაასუფთავა და სხვ. ეს კიდევ არაფერი. ქალაქმა მდაბიო, ღარიბს ხალხს უფასო საჩაიოები შვიდრვა ალაგას დაუმართა, ეხლა იმის ზრუნვაშია, უფასო სასადილოებიც გააკეთოს იმავე ღარიბის ხალხისათვის და უეჭველია ამასაც მალე სისრულეში მოიყვანს.

ქალაქ-ს ზრუნვა შეუძლებელ მოქალაქისათვის არც ამითი თავდება: თუ გვინდა, რომ ხოლერა არ გავრცელდეს და იქავ ჩაიკლას, საცა იჩენს თავსა, საჭიროა უსათუოდ იქ ყოველისფერი განადგურდეს, რათა ადგილობრივვე მოუღონ ბოლო და შორს აღარ გავრცელდეს. ამისათვის აუცილებელია სნეულთა ტანთსაცმელი, საცვალი, ქვეშსაგები და სხვა ამისთანა ადგილობრივვე დაიწვას. მდაბიო, ღარიბის ხალხისათვის ეს მეორედ დაღუპვა იქნება. ამისათვის პატივცემულმა ქალაქის მოურავმა ხელის მოწერა გამართა, შემოსწირეთ, ვისაც რა შეგიძლიანთ, რომ შემოწირულის ფულით ღარიბებს ვუყიდოთ ახალი ნივთები დამწვარ-გადაბუგულის ნაცვლად და ამით შევუმსუბუქოთ გაჭირვებულს ადამიანს მწარე ბედიო. შემოწირულება ორის-სამის დღის განმავლობაში ხუთას თუმნამდე ავიდა.

რაც ხანი გაივლის, უეჭველია, შემოწირულება ერთი ათად იმატებს და შესამჩნევს დახმარებას აღმოუჩენს ქალაქი დაზარალებულ მკვიდრთ.

როგორც ზემოდ მოვიხსენიეთ, სოფელი უფრო გაჭირვებულია, ვიდრე ქალაქელი, და ამისათვის დახმარება იქ უფრო საჭიროა. ამ აზრით ჩვენმა გაზეთმა უკვე მიჰმართა ყოველს გულ-შემატკივარს ჩვენის ქვეყნისას, ხოლერისაგან დაზარალებულ ხალხს აღმოუჩინოს შემწეობა, ხელი გაუწვდინოს გაჭირვებულს მოძმეს და მიაწოდოს მცირედი რამე. ყოველი შეწირულება გამოიგზავნოს „ივერიის“ რედაქციის სახელობაზედ და დაუყოვნებლივ გაიგზავნება, სადაც საჭირო იქნება.

ქართველი კაცი განთქმულია გულკეთილობით, მოძმის სიყვარულით, ბევრჯელ სიცოცხლეც არ დაუზოგავს მისთვის, და დღესაც იმედი გვაქვს, რომ მისი კეთილშობილი გული უკან არ დაიხევს და შეძლებისამებრ დაეხმარება ხოლერისაგან დაზარალებულ სოფლის ხალხს. მცირედი შემოწირულება ჩვენის ქვეყნის სხვა-და-სხვა კუთხიდგან ზღვად გადიქცევა, ჩვენ, შეძლებულთ, ბევრი არა დაგვაკლდება-რა და ასეთის წვლილით-კი ჩვენს მაშვრალს მოძმეს ცრემლი მოეწმინდება.

რაღა თქმა უნდა, რომ შემომწირველთა სახელი და გვარი ჩვენსავე გაზეთში იქნება დაბეჭდილი და გამოცხადებული იქნება აგრეთვე ისიც, თუ როგორ და ვის მოხმარდა შეგროვილი ფული.

ა. ფრონელი

## ოფიციალური ცნობანი ხოლერის შესახებ

17 ივლისს დილით სამკურნალოში იყო ავადმყოფი 23 კაცი და 5 ქალი. მიიყვანეს იმ დღეს სამი კაცი კიდევ: მოლოკანინოვი (ვაგზალს ახლო), ბოროდინი (რიყიდგან) და ვატრუხინი (ჩერეპიჩნი ქუჩაში წაქცეულიყო) და ორი ქალი: ანნა რეიხერი (გერმანელების ახალშენ ალექსანდერდორფიდგან, რომელიც მუშტაიდ ზემოდაა) და ტიტოროვისა (წყლის-პირის ქუჩა, სახლი ისარლოვისა). კარგად გახდნენ ორნი: ვერიჟენკო და დმიტრიჩენკო. გარდაიცვალა მოლოკანინოვი.

18 ივლისს სამკურნალოში იყო 19 კაცი 6 ქალი.

17 ივლისს სპარსელთ სახოლერო სამკურნალოში არავინ მიუყვანიათ.

მეტეხის ციხის სამკურნალოში მიიყვანეს ერთი პატიმარი ფატუევი.

ავად გახდნენ და სახლში დარჩნენ: 13 ივლისს — ბალთაზაროვისა (ფეთხაინის ქუჩაზედ)—გარდაიცვალა, ტერ-მარტიროსოვისა და მისი სამის წლის ქალი (გარეთუბანში, წმ. გიორგის ეკკლესიის ახლოს); 14 ივლისს—გიორგი ბაღარიძის შვილი (სურფ-კარაპეტის ხევი); 17 ივლისს—ქსენია პულიავინისა (ავლაბარში) ანნა გუნიშვილი (გონჩარნი ქუჩა, სახლი კახელაძისა), 18 ივლისს—ვასილ ბულიგინი (მალაკნების ქუჩა).

18 ივლისს სამხედრო სამკურნალოში მიიყვანეს ერევნის გუბერნიის მცხოვრებელი თადეოზ ბურნათოვი (სურბ-კარაპეტის ქუჩა).

ავლაბარში 16 ივლისს ავად გახდა და 17-ს გარდაიცვალა თავისს სახლში სარქის მადათოვი 50 წლისა. 15-ს გარდაიცვალა თავის სახლშივე ოჰანეზ იაგორის ძე აბრამიანცი.

ტფილისის მაზრაში 1-დგან 15 ივლისამდე ავად გახდნენ: ავჭალაში ერთი და გარდაიცვალა: დიღმის ახლო-მახლო—სამი და სამივენი გარდაიცვალნენ; გიორგი-წმიდაში—ერთი და გარდაიცვალა; ხაშმში—9, გარდაიცვალა 4; უჯარმაში — 4, გარდაიცვალა ორი; დიდ-ლილოში 3; ლოჭინში ერთი და გარდაიცვალა; გომბორში—ერთი და გარდაიცვალა; ხატის-თელეთში—ერთი და გარდაიცვალა და წალასყურს—ერთი და გარდაიცვალა. 15 ივლისს შემდეგ ხაშმში გარდაიცვალნენ კიდევ ორნი, უჯარმაშიაც ორნი, გახდა ავად ერთი. ამათ გარდა კოდის გზაზედ ხოლერით გამხდარიყო ავად და დავარდნილიყო საგარეჯოელი იასონ ხატიაშვილი, რომელიც წაიყვანეს და

# ფელეტონი

## მასლაათი

„საამიკოდ, სალაღობოდ,
ამხანაგთა სართველად“.
რუსთაველი.

ამ წყეულ ხოლერის ბრალია, რომ მასლაათი დავუგვიანე მკითხველებს. ვეღო, სადაც მიდგებ-მოდგები, სულ ხოლერა და ხოლერა! დიდსა და პატარას, ერსა თუ ბერს, ყველას პირზედ, რაღაც ბაცილაა, იმისი სახელი აკერია. რაც უნდა საყურადღებო საგნის გამო დაიწყო ლაპარაკი, ყურს არავინ გათხოვებს, თუ ბაცილა შიგ არ გაურიე და ხოლერით არ შეანელე. გაზეთებმა ხომ საქმე გააჭირეს. აიღებ გაზეთს და გგონია, ახალს რასმე წავიკითხავო. ღმერთი არ გაგიწყრეთ! თავში წაიკითხავ—ამდენი კაცი გახდა ავად, ამდენი თან გადიტანაო; შუა ადგილს გადაათვალიერებ და უეჭველად ამოიკითხავ,—ასე-დაასე უნდა მოიქცე, რომ ხოლერა შეიკრას და შეიბოჭოსო; ბოლოში ჩაიხედავ და იქაც უეჭველად რაიმე ახალს წამალს წააწყდები—აბა ხოლერის ხოლერა ეს წამალიაო.

ვის-ღა ახსოვს სხვა საჭირ-ბოროტო საგანი და სხვა „ჟამთა სიავე“! თუნდაც სხვა რამე რომ დასწერო და რედაქციაში მიიტანო, უკმაყოფილების ნიშნად, ცხვირს მაღლა აიშვერენ—ეხლა სახოლერო საგანია საჭირო, მაგას მისდევს და კითხულობს საზოგადოება, ლიტერატურული შეშუდი ეგ არისო!.. მართლაც-და, გაზეთის ფურცლებზედ ეხლა მხოლოდ ეს შეშუდი-ღაა გამოფენილი.

თუ დიდხანს გასტანა ხოლერამ, შენი მტერი იყოს, რომ ჩვენ საქმე დაგვემართება—ეს ბაცილები ყველაფერს დაგვავიწყებენ და მაშინ ხომ წახდა კაკალი კაცი!..

მე მაინც ჩემსას არ დავიშლი. ვინც რა უნდა სთქვას და მე-კი იმ აზრისა ვარ, რომ, ამ ხოლერას გარდა, არის კიდევ სხვა მეორე ხოლერაც, რომელიც ესტუმრება ხოლმე საზოგადოებას ხამუშ-ხამუშად. პირველ ხოლერას მუცლის ფაღარათობა მოსდევს, მეორეს-კი ტვინის ფაღარათობა და ასეთ ნაირს ხოლერასაც დახვედრა და გამკლავება ესაჭიროება. მართალია, ტვინის ფაღარათობა სხვა თვისებისაა და ისეთს მუსრს არ ავლებს საზოგადოებას, როგორსაც მუცლის ხოლერა; მართალია, იგი კაცს არცა ჰკრუნჩხავს და არც წუთი-სოფელს ასალმებს, მაგრამ ვნება და ზარალი-კი დიდი მოაქვს. ეს ზარალი კიდევ იმაში მდგომარეობს, რომ ვისაც-კი შეხვდება, ჯერ გულს უწამლავს, გრძნობას უშხამავს და მერე თავში ედის და მთლად ტვინსა და აზროვნობას ტანში ჰხსნის და აფაღარათებს. ისტორია ჰმოწმობს, რომ ასეთი სენი ხანდახან და „ჟამითი-ჟამად“ მთელს საზოგადოებას მოედება ხოლმეო. ღვთისა და ზეცის წყალობით, ჯერ-ჯერობით ჩვენში საქმე აქამდე არ მისულა, მაგრამ, სამწუხაროდ, აზრი და გრძნობა-კი ჩვენში ნელ-ნელა ბაქტერიებით იხაშმება... ჩემის ფიქრით, „დეზინფექცია“ და „კარანტინი“ ეხლავე საჭირო, თორემ მერე გვიან-ღა იქნება. აბა მიიხედეთ, რა დაემართათ საწყალ ბაქოელებს!.. თუ ეხლავე არ ვიზრუნეთ, შეიძლება ჩვენც ის უბედურება დაგვატყდეს, რაც სხვებს დამართვიათ, და მაშინ... მაშინ იქნება მთელმა მეცნიერებამაც ვერა გვიშველოსრა.

ჰო, მე მოგახსენებთ იმ ზნეობრივის სენის გამო, რომელიც, შეხვედრის წამსვე, კაცს მთავარს გონებას უბნევს, საღს გრძნობას უხშობს და მერე იქამდე მიჰყავს, რომ უიმისოდ პაწია კაცს ანუ კაცუნას თავის თავს ბუმბერაზად და ფას-დაუდებელ მოღვაწედ მოაჩვენებს ხოლმე. ამ ხოლერას მეცნიერებაში mania grandiosa-ს ეძახიან, ანუ, მდაბიურად რომ ვსთქვათ, „ხურუშს განდიდებისას“ და, როგორც ამბობენ, დიდი ხანია თურმე, რაც ეს სენი გაჩენილა. მუცლის ხოლერა უფრო მდაბიო ხალხს ეტანება, უფრო უვიცს და გაუნათლებელს საზოგადოებას ემტერებაო. Mania grandiosa-კი სხვა ბუნებისა ყოფილა და ბინას ინტელიგენტის თავსა და გულში იკეთებსო. ამტკიცებენ, რაც ინტელიგენტი მეტად გაუწვრთნელი და განუვითარებელია, იმდენად უფრო ადვილად შეეყრება ხოლმე ეს უცნაური სენიო. ამ სენს საშინლად თურმე სძულს საფუძვლიანი გონების ზრდა, სისტემატური აზრის ვარჯიში, დალაგებული სწავლა და ძლიერ თურმე უყვარს ცალიერის ცოდნის სუნვა და აქა-იქ საჩქაროდ წიგნებიდგან ამოგლეჯილი ფრაზები... თუ ამ სენით შეპყრობილს რაიმე საზოგადო საქმეზედ ხელი მიუწვდა და მცირედი რამე გააკეთა, თუ ასეთმა გვამმა, ვსთქვათ, რომელსამე კრებაზედ რამდენიმე „რეჩი“ წარმოსთქვა, მაშინ სულ დაიღუპება,—თურმე იმ წყეულ-შეჩვენებულ ბაცილებისათვის ნოყიერი ნიადაგი სწორედ ეგ საზოგადო მოღვაწეობა და „რეჩების“ თქმა ყოფილა!... როცა mania grandiosa-თი დასნეულებული საზოგადოების სასარგებლოდ მცირედს რასმე გააკეთებს, მაშინვე თურმე ბუკსა და ნაღარას დაჰკრავსო—ჩამომეცალეთ, ასპარეზი დამითმეთ, მოთავე ეხლა მე ვარო... ზოგჯერ თურმე ასეთი მოღვაწე რომელსამე ჩვენს კრებაში ისეთის კილოთი ჰლაპარაკობს, თითქო ინგლისის პარლამენტში ბძანდებაო და თავისი თავი მინისტრად ეჩვენებაო.

იქნება ზოგიერთმა მკითხველმა ეჭვის თვალით შეჰხედოს ჩემს მასლაათს და საბუთი მომთხოვოს. მე თუმცა რამდენიმე მაგალითი ვიცი, მაგრამ ამ ჟამად მარტო ერთს დავასახელებ. ამ თთვის „Новое Обозрѣніе“-ს № 2938-ში დაბეჭდილია მ. მაჩაბლის „წერილი რედაქციის მიმართ“. მერე რა შეუდარებელი და ძვირფასი წერილია! გარწმუნებთ, სხვაგან ამ წე-

ხაშმის სახოლერო სამკურნალოში დააწვინეს.

ბორჩალოს მაზრაში, იქაურ მაზრის უფროსის აზრით, ხოლერა თანდათან ძლიერდება. ეკატერინენფელდში 2—16 ივლისამდე გახდა ავად სულ 37 კაცი. ამათში 13 გარდაიცვალა, მორჩა ერთი, ავად არიან 23. ამას გარდა სოფ. ვახრალოს 9 გახდა ავად და 6 გარდაიცვალა 11—15 ივლისს. გორის მაზრაში: 12 ივლისს გარდაიცვალა ბორჯომს ხოლერით სამის დღის ავადმყოფობის შემდეგ სატირა ჩალაბიევისა, 53 წლისა; ურბნისში კვლავ გახდა ავად 5 კაცი: ზაალ რუსიშვილი, ნინო რუსიშვილი, მარიამ ბალარაძე, თამარ ხიზანაშვილი და მთავრის ცოლი იმერლიშვილი. გარდაიცვალა სკრაში ხოლერის ნაირ ავადმყოფობით გიგო ლომიძე, ცხრამუხას—ვასილ ლონდაძე, ყელეთს—ივანე ქობულაშვილი და სოფ. რუისს—ღვინიაშვილი.

სიღნაღის მაზრის უფროსი აუწყებს მთავრობას, რომ ვორონეჟიდგან გადმოსულთა და დედოფლის-წყაროს ახლო დასახლებულთ შორის სულ 4 კაცი გარდაიცვალა და 3 გახდა ავადაო. ავადმყოფნი დააწვინეს ტვერის დრაგუნთა პოლკის კარავებში.

## ახალი ამბავი

*** ტფილისის მიხეილის სამკურნალოში დილით 16 ივლისს ავად იყო 28 კაცი და 6 ქალი; იმავე დღეს მიიყვანეს ორი კაცი: კავკასიის პოლკის ჯარის-კაცი დმიტრიჩენკო (9 ნაწილი, მიხეილის ქუჩა, № 50) და ვერიჟენკო (9 ნაწილი, თუმანოვის ქუჩა № 37). უკეთ არიან: ჰაჯი-ოღლი და პეტნიკოვი; მორჩა ოთხი კაცი: ობერნიხი, როსსიაკი, ყარიჩოვი და დურიანცი და ერთი ქალი—ლუკაშევიჩი. 17 ივლისს წინა ღამეს გარდაიცვალა ერთი კაცი—იოსებ იაგუბოვი; იმავე ღამის სამკურნალოში არავინ მიუყვანიათ. 17 ივლისს დილით ავად იყო 23 კაცი და 5 ქალი.

სპარსელთათვის დაარსებულს სამკურნალოში 16 ივლისს იყო 3 ავადმყოფი, დღისით გარდაიცვალა 1. 17 ივლისს იყო 2 ავადმყოფი.

ავად გახდნენ და შინა სწამლობენ: 15 ივლისს—გევანდ რუბიმოვი, 20 წლისა (შორეული ახალშენი, გეშტოვის სახლი), 16 ივლისს—ტერ-მინასიანცი (ავლაბარი, შამხორიას ქუჩა, № 23).

სიღნაღის მაზრის სოფ. ვაქირში სამი კაცი გახდა ავად საეჭვო ავადმყოფობით. სამივე გარდაიცვალა. ამათზედ მეტი ავად აღარავინ გამხდარა.

ტფილისის მაზრის სოფ. ხაშმში პირველად ავად გახდა საეჭვო ავადმყოფობით ალექსი კალატოზიშვილი, რომელიც 9 ივლისს დაბრუნდა ტფილისიდგან. იმავე დღეს ავად გახდა ქარუმიძე და 14 ივლისს გარდაიცვალა. შემდეგ გახდა ავად ანნა მარინდაშვილი და იმავე დღესვე გარდაიცვალა; კიდევ ავად გახდნენ ხაშმში: ჩილგენდრიშვილი, კოკრაშვილი, კიბაბიძე, ბაქრაძე (სოფლის მასწავლებელი) და მართა ყვარელაშვილი. ყველას თავ-თავიანთ სახლში სწამლობენ.

*** სტავროპოლის გუბერნატორი იუწყება: ალექსანდროვსკის მაზრის სოფ. კუსსავსკში 11 ივლისს ავად გახდა ხოლერით 1, გარდაიცვალა 1; კრულოლესკში 12 ივლისიდგან ავად გახდა 6, გარდაიცვალა 3; ნოვოგრიგორიევსკის მაზრის სოფ. პრასკოვიაში 13 და 14 ივლისს ავად გახდა 22, გარდაიცვალა 7.

*** ერევნის გუბერნატორი იუწყება: 12 ივლისს შარურო-დარალაგეზის მაზრის სოფ. ბაშნორაშენში ავად გახდა 7, გარდაიცვალა 5, ავად არის 2. 14 ივლისს ქ. ნახიჩევანში ავად იყო 27, ავად გახდა 25, გარდაიცვალა 9, მორჩა 5, ავად არის 41; მაზრაში ავად იყო 16, კიდევ ავად გახდა 2, გარდაიცვალა 17, მორჩა 4, ავად არის 22.

*** ბაქოს გუბერნატორი იუწყება: 11 ივლისს ბაქოს სამკურნალოში მიიყვანეს 3, გარდაიცვალა 4, მორჩა 12, ავად არის 72; სამკურნალოს გარეშე 4. გუბერნიაში ავად გახდა 78, გარდაიცვალა 42, მორჩა 15, ავად არის 61; სამხედრო ლაზარეთში მორჩა 3, ავად არის 28; ბაქოს საპატიმროში მორჩა 3, ავად არის 2.

*** დაღესტანის გუბერნატორი იუწყება: 14 ივლისს პეტროვსკში ავად გახდა 24, გარდაიცვალა 8; დარუბანდში ავად გახდა 8, გარდაიცვალა 2, მორჩა 1. ოლქებში ავად არის 305, გარდაიცვალა 160, მორჩა 80, ავად არის: პეტროვსკში 56, დარუბანდში 15; ოლქებში: კიურინისაში 182, კაიტაგო-ტაბასარანისაში 62, სამურისაში 116, დარგინისაში 23, ყაზიკუმუხისაში 48, შურინისაში 229, გუნიბისაში 1 და ავარისაში 2.

*** ქუთაისის გუბერნატორი იუწყება: 14 ივლისს ფოთში გარდაიცვალა ხოლერით ინგლისის გემის მესაჭე და ქუთაისშიაც ერთი პოლიციელი.

*** გუშინ, 18 ივლისს, ამიერ-კავკასიის რკინის გზის მმართველობამ ბათუმის მახლობელ სადგურებში გაგზავნა 50 სამოვარი, 130 ფუთი შაქარი და 48 გირვანქა ჩაი რკინის გზაზედ მოსამსახურეთათვის.

*** ტფილისის გუბერნატორი აცხადებს საყოველთაოდ, რომ კავკასიის მთავრობის განკარგულებით 17 ივლისიდგან ბათუმის ოლქისა და ახალციხეს მაზრის შუა გოდესის მთაზედ გადასასვლელი გზა შეკრული იქნება და ხუთის დღის შემდეგ, ე. ი. 23 ივლისს, სრულიად შეიკვრის ზეკარის მთაზედ გადასასვლელი გზაც ახალციხის მაზრასა და ქუთაისის გუბერნიას შუაო.

*** ჩვენ მივიღეთ ხოლერით დაზარალებულ სოფლის ღარიბ ხალხის სასარგებლოდ შემდეგი შემოწირულებანი:

ეგ. იოსელიანმა 5 მან., გრ. ყიფშიძემ 3 მან., ალ. თ. ყიფშიძემ 3 მ., მაქსიმე შარაძემ 3 მან., მ. ფ. ჩიკოიძემ 3 მან., მ. მემანიშვილმა 3 მ., არტემ ახნაზაროვმა 3 მან., ალ. ი. ნიკიტინმა 2 მან., ან. მგელაძემ 50 კაპ., ნინო მგელაძისამ 50 კაპ., სტეფანე სერგეევმა 50 კაპ.

„ივერიის“ ასოთ-ამწყობებმა: პლ. გოგუაძემ 2 მან., დიმ. ქვლივიძემ 2 მან., ვლასა მგელაძემ 1 მ., ალ. ნარიმანიძემ 50 კ., გ. მაისურაძემ 50 კ., ივ. ლაზრევმა 50 კაპ., ზ. კოტეტოვმა 50 კაპ. სულ 33 მან. 50 კაპ. იყო 197 მან. ამიანად შესდგა 230 მან. 50 კ.

*** ქალაქის გამგეობამ კიდევ ერთი ეტლი (№ 481, მეეტლე ივანე ვოზნიაკი, საინტარი გრეჩკინი) დაიქირავა ხოლერიან ავადმყოფთათვის.

*** ტფილისის მიხეილის სამკურნალოში მკურნალი გაუდელინი ხოლერიან ავადმყოფებს ასმევს კეფირს. კეფირს ისეთი თვისება ჰქონია, რომ ხოლერის ბაცილებსა ჰხოცავს. ეს წამალი იაპონიის ერთს მკურნალს, კიტაზაროს, მოუგონია.

*** ტფილისში ხმა დადის, რომ ბაქოში შავი ჭირი გაჩენილაო. ეს ხმა ტყუილია. ქ. ბაქოში ხოლერის გარდა, მართალია, სამი კაცი გარდაიცვალა ციმბირის ჭირით, როგორც უკვე იყო დაბეჭდილი, მაგრამ შავი ჭირი-კი კავკასიაში არსად გაჩენილა.

*** რუისი: ეს რამდენიმე კვირა იქნება, რაც სოფ. ურბნისში ბაქოდგან მოსულან წინად იქიდგან წასული მუშები. მოსულან თუ არა, გამხდარან ავად ხოლერით. ისინი მორჩენილან და მას აქეთია დატრიალებულა ხალხში, მოსდებია მთელს სოფელს და იხოცებიან. 4-კი ნამდვილად ვიცით, რომ მომკვდარან. ამბობენ, სხვებიც იყვნენ ავად და მორჩნენო, მაგრამ საეჭვოა, რომ ასე უპატრონოდ მიტოვებულს სოფელში მორჩენილიყოს ვინმე. ეს მესამე დღეა იქაურს მღვდელს ამოუყვანია ექიმი. არ ვიცი ნამდვილად, რა სთქვა ექიმმა, და იქაურმა კაცმა-კი მიამბო, რომ ექიმმა სთქვა: მუცელა არისო. ეტყობა, ბევრი ვერაფერი ყურადღება მიაქცია ექიმმა, თორემ ნამდვილად ხოლერა თურმე, როგორც იქ ნამყოფთ ილაპარაკეს. გუშინ ამოვიდა გორიდგან სახელმწიფო მამულების გამგებელი ყანჩაველი და სთქვა: ლიახვის პირზედა ვნახე ურბნისელი კაცი, ძირს ეგდოო. მივედი, ვკითხე და მითხრა, რომ პირღებინება ამივარდა და ღონე აღარა მაქვს წავიდე სადმეო. შეშინებული გავედი გორში, ექიმი და პოლიციის ბოქაული გამოვგზავნე, მაგრამ, მინამ გამოვიდოდნენ, მომკვდარიყოო. მკვდარი სად წაიღეს-კი, აღარ ვიციო. წარმოიდგინეთ ან იმ სოფლის მდგომარეობა და ან თითონ რუისისა, რომელიც ერთ ვერსზედ არც-კი იქნება მოშორებული ურბნისიდგან. მეტადრე წინაუბანს და ურბნისს მღვდელი ერთი ჰყავთ. რუისის სამამასახლისოა ისიცა. მოსამართლე და მამასახლისის თანაშემწე-კი ცალკე ჰყავთ, სასოფლო სამმართველოცა აქვთ თავისთვის. სულ ერთად არიან აქაური და იქაური ხალხი დარეული, მუშად თუ ისე, და როგორ გინდათ, რომ რუისი გადარჩეს.

რა გვარს უსუფთაობას იტყვით, რომ ჩვენი სოფელი არ იყოს მოდებული. ეს ერთი კვირა იქნება, აქ იყო ბოქაული მამასახლისის ამოსარჩევად, ზედ გაუარა პატივს, ზვინებს და არ უბრძანა, რომ გაესუფთავებინათ. მართალია, თითონ მცხოვრებლები არიან მოვალენი, რომ იზრუნონ თავიანთის ჯან-მრთელობისათვის, მაგრამ რა გინდა უყო, როცა არ გაეგებათ. ხალხი ძლიერ დაშინებულია, მთავრობამ რომ გაიგოს, ექიმს გამოჰგზავნის, ძალათი წამლებს დაგვალევინებენ და დაგვხოცენო. დაგვიწვენ სულ, რაც ლოგინი გვაქვს, ან ტანისამოსიო. მე თითონ ვიცი აქ ერთი-ორი ოჯახობა, რომლებსაც დღე ვენახში აქვთ ლოგინი დამალული და ღამე გამოიტანენ ხოლმე დაწოლის დროს.

---

რილს ისე დაედებოდნენ, როგორც ბუზები თაფლსა... ჩვენში, იქნება, არც-კი წაიკითხეს.

ავტორი თავის წერილს იმითი იწყებს, რომ რედაქტორს შესჩივის—თქვენის გაზეთის ყველა მკითხველი პირად ვერ მიცნობს და ამიტომ მსურს აღვადგინო ჩემი აბრუ და ეხტიბარიო... იმის გამო, რომ დრამატიულ საზოგადოების კრებიდგან კარზედ გამაბძანესო. ჰმ, ყველა მკითხველი ვერ მიცნობსო!... რომ იცნობდნენ, ისიც ხომ ეცოდინებათ, რომ ეგ კრებიდგან მ. ვ. მაჩაბლის გარედ გაბძანება მისთვის ახალი ამბავი არ არის. დიდი, დიდად დიდი ცოდვა კია, თუ მართლა ყველა არ იცნობს ასეთს მოღვაწეს, როგორიც ჩვენი მიხეილ ვახტანგიჩ მაჩაბელია! არ ვიცი, რომელი მკითხველი უნდა იყოს ისეთი უმეცარი და ბრიყვი, რომ მიხეილ ვახტანგიჩს არ იცნობდეს. განა ისეთი მკითხველი სადმე კიდევ მოიპოვება?! მე-კი არა მჯერა და თქვენი რა მოგახსენოთ. აბა ერთი ცხინვალსა და ლილოში იკითხეთ, ვინ არის „მიხეილ ვახტანგიჩი“. სხვა რომ არა იყოს-რა, მარტო ბ-ნმა ზოილმა მოჰფინა მთლად საქართველოში ქება და დიდება მ. ვ. მაჩაბლისა და ესკი ახირებულა, ყველანი ვერ მიცნობენო!.. აი ხურუში განდიდებისა ამასა ჰქვიან. აბა რა საკმაოა, როცა მარტო პაწია საქართველო გიცნობს და რუსეთს შენი სახელი არც-კი გაუგონია. არა, ყველა რუსულის მცოდნე უეჭველად უნდა პირად მიცნობდესო... ამისათვის მიუსვ-მოუსვამს კალამი და ჰგონია, საკმაო არის, რომ მთელმა რუსეთმა იცნოს ეს ლილოელი ფილოსოფოსი.

ჰო, იმას ვამბობდი, ბ-ნმა ზოილმა მოჰფინა მ. ვ. მაჩაბლის სახელი და დიდება-მეთქი. აბა გაისეირნეთ ქალაქში, თუ მართალი არ იყოს. როცა ბატონი მიხეილ ვახტანგიჩი თავის პორტფელით ამაყად და თავ-მომწონედ საბანკო კრებაზედ ან ქალაქის საბჭოში მიეშურება, გზა და გზა ქუჩის ბიჭებიცკი თითით აჩვენებენ, აი მიხეილ ვახტანგიჩი ესა ბძანდებაო, აი შადრევანი სიტყვებისა ეს არისო, აი „говорящій Мачабели“-ო, და მიხეილ ვახტანგიჩი-კი სჩივის, ყველანი არ მიცნობენო. ბატონმა ზოილმა მთელს კავკასიას და საქართველოს აცნობა და აუწყა, თუ რა უებრო და მჭევრი ორატორია ჩვენი მიხეილ ვახტანგიჩი, და ეს უკანასკნელი კიდევ გულ-ამოსკვნით ამბობს—ვაი ჩემი ბრალი, რომ ყველანი არ მიცნობენო. სწორედ, რომ დიდი უმადური ხალხი ვართ ქართველები. სხვაგან რო მიხეილ ვახტანგიჩი გაჩენილიყო, მაშინვე ტელეგრაფის მართულებს გააბამდნენ და დეპეშით აცნობებდნენ ქვეყანას—მობძანდით და იხილეთ, აი რა დიდებული მოღვაწე დაგვტრიალებს თავსაო და რა რიგად უხდება ცარიელი პორტფელი იღლიას ქვეშაო!.. ჩვენ-კი... ქართველებმა კაცის ფასი და ყადრი არ ვიცით, არა!.. ბ-ნი ზოილიც რომ არა ყოფილიყო, თვით მიხეილ ვახტანგიჩმა-კი ცოტა იშრომა და ილვაწა თავის სახელის განსადიდებლად და განსამტკიცებლად? ისე წელიწადი როგორ გაივლის, რომ ამ ენა-წყლიანმა ორატორმა, სულ ცოტა, სამას-სამოც-და-ხუთი უშველებელი „რეჩი“ მაინც არ წარმოსთქვას სხვა-და-სხვა კრებაზედ. მართალია, ზოგნი ამბობენ, ამ „რეჩებში“ ბევრი არა ჰყრია-რაო, თითოეული მათგანი რო გამოსწურო, ხელში ნემსის კურწის ოდენა აზრი ძლივს-ღა შეგრჩებაო, მაგრამ ეს რა დასაჯერებელია, ეს ხომ სულ შურის საქმეა და „შურმა არა უწყის პატივი უმჯობესთაო“, როგორც ამბობს ერთი ბრძენი. მიხეილ ვახტანგიჩის „რეჩები“ ყოველთვის „Новое Обозрѣніе-ში იბეჭდება და ამ პატივდებულ გაზეთს კიდევ ყველანი კითხულობენ და მოდით და დაიჯერეთ, მკითხველები არ იცნობენ მიხეილ ვახტანგიჩსაო...

ეს პორტფელიანი მაჩაბელი თავის წერილში მერე მოჰყოლია და დრამატიულ საზოგადოების კრების გამო ისე ლაპარაკობს, თითქო ეს კრება ინგლისის პარლამენტი იყოს,—მე მონაწილეობა არ მიმიღია „ни въ преніяхъ, ни въ борьбѣ партій-“ო; როცა მმართველობის მეშვიდე წევრი ვერ ამოირჩიეს, მაშინ ვურჩიეო: „когда какое либо министерство не можетъ составить кабинета, оно выходитъ въ отставку“-ო... აკი პორტფელში არა უდევს-რაო! განა ეს მშვენიერი რჩევა არ არის თუ! მარტო სამწუხარო ისაა, რომ ჩვენს მინისტრებს ეს საანბანო ჭეშმარიტება გამოჰპარვიათ. მე პირველ კრებაზედვე უსათუოდ „запросъ“-ს შევიტან, სამინისტროს გადმოვაბძანებ და მიხეილ ვახტანგიჩს ვსთხოვ, ახალი „კაბინეტი“ შეადგინოს. „მინისტრ-პრეზიდენტობა“ მხოლოდ ამას შეშვენის, მარტო ამას; იმას მაინც არ იტყვიან, უპორტფელო მინისტრიაო. სცოდნია საკონსტიტუციო წესი და ჩვეულება, თორემ აბა რასა ჰგავს, თქვენი ჭირიმეთ, ქართველებს დრამატიულ კრების თავმჯდომარედ ისეთი კაცი ამოურჩევიათ, რომელსაც არც-კი გაეგება, რომ ეს კრება ნამდვილი პარლამენტია და კონსტიტუციის გზას უნდა მისდევდეს! ვგონებ, სამინისტრო პორტფელზედ უარს არც მიხეილ ვახტანგიჩი იტყვის, რადგანაც, როგორც ამბობენ, მინისტრობის სურვილი აშლილი აქვს და დიდი ხანია ამ ხელობის ძებნაშიაო. და ამასთანაც პორტფელის ყიდვაც არ დასჭირდება, რადგანაც უამისოდაც იღლიას ქვეშ მუდამ სჩრია.

ისიც ძრიელ დაუშავებიათ, რომ ნება არ მიუციათ, მონაწილეობა მიეღო „въ преніяхъ и въ борьбѣ партій“... მეტი უსამართლობა-ღა იქნება! კაცმა მთელი თავისი ძალ-ღონე ამ „пренія“-ებს და „борьба партій“-ას შეალია, სახელი ამითი გაითქვა, მომავალ პანთეონშიაც ასეთის ღვაწლის მეოხებით ძეგლის აგებას ელოდება და ნებას-კი არ აძლევენ ტრიბუნიდგან აღინოს ნიაღვარი მჭევრმეტყველებისა დადუმებულს საქართველოს... თავმჯდომარეს უთუოდ ამ ნიაღვრისა შეშინებია. მე-კი უე-

ამეებისა რომ ეშინიანთ, ექიმისთვისაც ბევრს უთქვამს, მეც ვიყავი აგრე ავად და მოვრჩიო. ექიმებსაც უთქვამთ, თუ მაგდენი იყავით ავად და მორჩით, ეტყობა, ხოლერა არ არისო, თორემ ამ ულონისძიო სოფელში მაგდენი ვერ მორჩებოდითო.

ასეთს საშიშს მდგომარეობაშია დღეს ჩვენი სოფელი და დანარჩენი სხვებიც ამის გარშემო. რაც შეიძლება, მალე უნდა მოეშველნენ აქაურობას და ეგება შეჰკრან ურბნისი, აღარავინ გამოუშვან იქიდგან და აღარც სხვა სოფლებსა ჰქონდეთ ნება იქ სიარულისა. უნდა გაჰგზავნონ იქ ექიმი და ფერშალი წამლებითურთ, რომ მთელს აქეთ მხარეს მაინც არ მოედოს. ხალხი ღარიბია და გაუგებარი. თუ სხვამ არ იზრუნა ამათთვის, მოედება და მგონი ისე გამუსროს, მეათედიც აღარ დარჩეს.

*** გორი: 16 ივლისს დილით წავიდა ჩვენი მაზრის უფროსი თ. რევაზ ერისთავი სოფელს ურბნისს, საცა წინადვე იყო მისული ცნობილი მკურნალი ბ-ნი ცისკარაშვილი ფერშალით. მაზრის უფროსმა დაარიგა ხალხი, მღვდელს ერთი თავი შაქარი და ერთი გირვანქა ჩაი მისცა ავადმყოფთათვის და იქიდგან სოფელს რუისს ავიდა, საცა აგრეთვე დარიგება მისცა ხალხს. ურბნისში 4 ავადმყოფი უკვე რჩება, გახდა კიდევ ავად რამდენიმე კაცი. რუისში გახდა ავად ერთი კაცი და მისი მორჩენა საძნელოა. სამწუხაროდ, მკურნალები ძალიან ნაკლებად არიან გორის მაზრისათვის. ცხინვალის ექიმს ხან სად გაჰგზავნიან და ხან სად. 17 ივლისს, მაგალითად, გაჰგზავნეს სოფელს წრომში, საცა აგრეთვე იჩინა თავი ავადმყოფობამ. აქ მოელოდნენ 16 ივლისს საღამოთი მკურნალ ბ-ნ ფ. გ. მაღალაშვილს, მაგრამ არ მოვიდა არც იმ დღეს და არც მეორე დღეს. თვით გორშივე 17 ივლისს დილით ორი-ორი გახდა ავად ხოლერით. ორივე ქალაქის ბარაკში დააწვინეს და სწამლობენ. გორის ექიმი ბ-ნი ალიხანოვი, რომელიც არის გამგე ამ ბარაკისა, აქამდე დღეში 5 მანეთს იღებდა ქალაქისაგან ჯილდოდ. 17 ივლისს დილით-კი საგანგებო საბჭოს წევრთა კრებამ გადასწყვიტა, დაენიშნოს მკურნალს ალიხანოვს 200 მანეთი თთვეში დღეიდგან ოთხის თთვის განმავლობაში.

*** გაზეთი „Кавказъ“-ი სწერს: ამ უკანასკნელს დღეებში ტფილისში გაჩნდა რაღაც ნაირი ავადმყოფობა, თითქოს ადამიანს ტანში ქარი უვლისო, სტეხავს, ხანდახან მუცელიც სტკივდება. ეს ავადმყოფობა სრულიად საშიში არ არის და ადვილად გაუვლის ავადმყოფს. საჭიროა მხოლოდ რამდენიმე წვეთი ვალერიანის კაპლისა დალიოს. მცოდნე კაცები ამტკიცებენ, რომ ეს ავადმყოფობა ხოლერის განელებას მოსდევს ხოლმეო.

თუ მართალია ეს, მაშ ტფილილებმა იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ აზიური სტუმარი მალე დაგვანებებს თავსა.

*** იგივე გაზეთი იუწყება: ამ დღეებში კავკავიდგან ტფილისში ჩამოვიდა მკურნალი, სტატსკი სოვეტნიკი კაზიმირ სტანისლავის ძე კაზლოვსკი.

*** გაზეთი „Каспій“ იუწყება: შინაგან საქმეთა სამინისტრო საბზევარში (სპარსეთშია) ჰგზავნის საკარანტინო მკურნალს ბ-ნ ილიინს, რათა გამოიკვლიოს მან, თუ რა ავადმყოფობაა, რომელიც ამ ჟამად იქა მძვინვარებს.

ბაქოს ოლქის სასამართლოს მდივნის თანაშემწე ბ-ნი ვ. ფომენკო ხოლერით გარდაიცვალა.

## ნაკვესი

სიღნაღის ერთს მედუქნესთან ვიღაც თავადიშვილები მივიდნენ და საწერ-კალამი სთხოვეს რიღასიც დასაწერად. ბოლოს ერთი მათგანი მიუბრუნდა მედუქნეს და უსაყვედურა:

— ბიჭო, ეს რა ნაირი კალამია, არა სწერსო.

— რა ვიცი, შენი ჭირიმე, „კნიაზზე-ზედ“ ნისიებს-კი კარგადა სწერს და ახლა რა ღმერთი გაუწყრაო!! უპასუხა მედუქნემ.

## დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

**ს. ურბნისი.** ორის კვირის წინად მე ვაზიარე ურბნისში მცხოვრებელის, გიორგი ინდუაშვილის ცოლი, რომლის ავადმყოფობას ჰქონდა ნიშნები ხოლერისა. ავადმყოფი მალე გარდაიცვალა და მესამე დღეს ძალ-დატანებით დამასაფლავებინეს ჩვეულებისამებრ ყოველთა მოკეთეთა თანადასწრებით. აქედგან მე სახლში წამყვა ავადმყოფობა და გამიხდა ავად ექვსის წლის ვაჟი, მაგრამ მუცლის ფალარათობა მივაწერე სიცხეს და ბავშვის სიცელქეს. ყმაწვილი მომირჩა და დღეს ძალიან სუსტადა მყავს. მესამე დღეს გარდაიცვალა თითონ ინდუაშვილი და მე დაუყოვნებლივ ვაცნობე მაზრის უფროსს ჩემის საკუთარის კაცით. შემდეგ მაზრის უფროსის სახელობაზედ დავსწერე ქაღალდი ღონისძიების მიღების საჭიროების შესახებ და მივეცი სოფლის მამასახლისს, სოლომონ ხანიშვილს, რომელსაც ვსთხოვე მაზრის უფროსისათვის გაეგზავნა. მამასახლისმა შეატყობინა მეზობლებს ჩემის ქაღალდის შინაარსი. გლეხ-კაცნი მოვიდნენ გაბრაზებულნი დიდის დამუქრებით და მითხრეს: „მღვდელო, თუ შენ ვისთვისმე გაგიგებინებია, ან ჩვენ ვიქნებით, ან შენა. სოფელი გინდა დაღუპო? აქ პოლიცია მოვა და ცოცხალს თუ მკვდარს დაგვწვენ და ვისაც-კი თავი წამოსტკივდება, ყველას საწამლავს მოგვცემენ და დაგვხოცავენო“. ამ ქაღალდმა მუქთად ჩაიარა და დღესაც მამასახლისის ჯიბეში სძინავს. მეორედ დავწერე და გავატანე ჩემს დაქირავებულს კაცს მაზრის უფროსთან, რადგან ხოლერა თანდათან ძლიერდებოდა. მაზრის უფროსმა დანიშნა ექიმი, რომელიც სოფლელებმა მოატყუეს: ჩვენში ავად არავინ არისო, და ექიმი უკანვე წავიდა. იმ ღამეს კიდევ გახდნენ ავად და კიდევ სასწრაფოდ ვაუწყე მაზრის უფროსს. ექიმი მოვიდა, აღმოაჩინა ურბნისში ხოლერა, დანიშნეს ფერშალი, მაგრამ რაღა დროს! სნეულებამ ბინა კარგა საფუძვლიანად გაიკეთა. გამიხდა კიდევ ავად ცამეტის წლის ქალი, რომელიც სწავლობდა ტფილისის ეპარქიის სასწავლებელში. ხალხი ძალიან ერიდება ერთმანეთს, ზოგნი ვენახებში გაიხიზნენ; თითოეული თავის მკვდარს თითონ მიასვენებს და ასაფლავებს. ბევრს ქვრივი ქალები ჰმარხავენ, რადგან მამაკაცები იმალებიან. ჩემი შვილი გამიხდა ავად 13 ივლისს, შუადღის შემდეგ 5 საათზედ, და გარდაიცვალა 14-ს, შუადღის შემდეგ ექვსის ნახევარზედ. ყველამ თავი დამანება, ხოლერა არ გადმოგვედოსო, და ჩვენი მიცვალებული ჩვენვე — ქმარმა და ცოლ[illegible] შევსუდრით და [illegible].

[illegible]მ აქ ჯერ დიდს გაჭირვებაში და დრტვინვაში არიან ურბნისელები. ურიგო არ იქნებოდა, მთავრობას რაიმე შემწეობა აღმოეჩინა ამ შემთხვევაში ურბნისელებისათვის, რომლებსაც ეს სნეულება მოუტანეს ბაქოსაკენ რკინის გზაზედ აქედგან წასულებმა სამუშაოდ და სამსახურად.

ურბნისის ტაძრის მღვდელი დიმიტრი მეტრეველი.

16 ივლისი

**რაჭა,** 27 ივნისი. ამას წინად ხმა გაისმა ჩვენში, ვითომც ზოგიერთ კეთილ გონიერს და ჩვენის ხალხის გულ-შემატკივარს კაცებს განზრახვა აქვთ, თავს იდონ საჭირო შრომა-მეცადინეობა, შეაგონონ რაჭველებსა და რაჭაში სამეურნეო სასწავლებელი გაამართვინონო. მაგრამ ამ საქმეშიაც, როგორც სჩანს, ჩვეულებრივად გვიმტყუნა ბედმა... ამის შესახებ ეხლა აღარა ისმის-რა. ალბად იმ მიზეზით, რომ იმისთანა აზრის განხორციელებასა და დამთავრებას ერთისა და ორის კაცის შრომა-მეცადინეობა თავს ვერ მოიყვანს. დამხმარე და უღლის გამწევი ასეთს საქმეებში სამწუხაროდ ჩვენში მეტად ძვირობს. ამიტომაც ყოველი სასარგებლო და საკეთილო აზრი ჩვენში მხოლოდ აზრადვე რჩება და განხორციელებასა და სულის ჩადგმას-კი ვერ მოესწრება ხოლმე. ამ ბოლოს დროს კიდევ დაიწყეს ჩვენში სასწავლებლის შესახებ სჯა და ბაასი: ხვანჭკარის საზოგადოება რამდენჯერმე მიიწვიეს კანცელარიაში ადგილობრივ ხელისუფალთ და რჩევა და მოლაპარაკება ჰქონდათ, რომ ეს საზოგადოება და ბუგეულისა, შეერთდნენ ერთად და ორივემ თითო კლასიანი სასწავლებლის მაგიერ, რომელიც ეხლა აქვთ, ერთი ორ-კლასიანი სასწავლებელი გამართონო. არ ვიცით, ეს აზრი სახალხო სკოლების დირექციის აზრი და სურვილია, თუ აქვე კერძო კაცების აზრი და განზრახვაა. მაგრამ ის-კი უნდა მოვახსენოთ, რომ თუ მართლა ასე მოეწყო საქმე, ჩვენის აზრით, ბევრად უმჯობესი იქნება, მით უმეტეს, რომ ორს საზოგადოებას ერთად შეერთებულს სკოლის საქმეში უფრო მეტი ძალ-ღონე ექმნება ნივთიერის მხრით. მეორეც, ორ-კლას გავლილ შეგირდს, რასაკვირველია, ორი იმ ზომი სწავლა და გონების განვითარება მაინც გამოჰყვება სკოლიდგან, რასაც ეხლა ატანს ხოლმე ერთ კლასიანი სასოფლო სკოლა, და ესეც კაი ღვთის წყალობა იქმნება ჩვენს გლეხკაცობის მომავალ ახალ თაობისათვის.

ჯოჯოხეთს ერთი მუგუზალი აკლდა და ისიც მიუმატესო, რომ იტყვიან, სწორედ ისე გვიპირებენ ჩვენცა: ჩვენში მხოლოდ ისღა გვაკლდა რომ მოგზაურთ თავს არ ესხმოდნენ და ხიფათი არა გვდებოდა-რა, ეხლა-კი ესეც დაიწყეს. ამ თთვის პირველ ნახევარში, დ. ონიდამ რამდენიმე ებრაელი გამომგზავრებულა ტფილისისაკენ სავაჭროდ. მოუწევიათ თუ არა ებრაეელებს სოფ. სორში, დასწევიან უკან გამოდევნებული რამდენიმე შეიარაღებული ყაჩაღი და მოუნდომიათ ფულების წართმევა და გაძარ-

---

ჰველად ნებას მივცემდი, თუნდაც ლაპარაკი დილამდე არ გაეთავებინა და კრებას სკამებზედ დასძინებოდა...

მართალია, წევრი არ ვიყავი, ლაპარაკის ნება არა მქონდა, მაგრამ „совѣщательный голосъ“-ი ხომ მერგებოდაო... ესეც სრული ჭეშმარიტებაა! ასე სჩადიან ევროპაშიაც, სადაც კონსტიტუცია არსებობს. როცა სამინისტროს რაიმე მძიმე და სპეციალი საგანი აქვს განსახილველი, მცოდნე და გამოცდილს კაცებს მიიწვევენ ხოლმე „совѣщательный голосъ“-ით — გვიშველეთ, გაჭირვებისაგან გვიხსენითო...

საოცარი და საკვირველია, რო ჩვენს სამინისტროს მიხეილ ვახტანგიჩი არ მოუწვევია... მე რო ვყოფილიყავ, ღმერთს გეფიცებით, კალთებს დავაგლეჯდი, — მობრძანდით, თქვენი ჭირიმეთ-მეთქი. ვაი, ამისთანა მოღვაწე ჩვენში სწორედ სანთლით საძებნელია და „совѣщаніе“-ზედ არა სთხოვენ!.. კაცს ისე ღრმად და საფუძვლიანად შეუსწავლია „конституціонное право“, რომ დრამატიულ საზოგადოების წესდებაც-კი პარლამენტად მოსჩვენებია, და „совѣщательный голосъ“-ზედაც-კი უარს ეუბნებიან! ეს სად გაგონილა?! თუნდ ეგეც არ იყოს, ტერპსიხორის სამსახურში კაცს თვისი სიცოცხლე დაულევია და ამისთანა სპეციალისტს совѣщательный голосъ-საც არ აძლევენ, მერე სად? დრამატიულ საზოგადოების კრებაზედ.

ჰო, ნება არ მომცეს, ჩავრეულიყავ „въ преніяхъ и въ борьбѣ партій“-აშიო... მაგრამ, როგორც სჩანს, თავდაპირველად თითონ მიხეილ ვახტანგიჩს ეს არ უნებებია. მე ზრდილობიანი კაცი ვარო (ბიჭოს!) და როცა „борьба партій приняла такой некрасивый характеръ, я не считалъ приличнымъ въ этомъ учрежденіи отвѣчать на вызовъ своихъ общественныхъ противниковъ“-ო... მართალიც არის — აბა მიხეილ ვახტანგიჩი რად იკადრებდა „некрасивая борьба пратій“-აში გარეულიყო, როდესაც შარშან ოთხჯერ გამოიყვანეს საბანკო კრებიდგან სწორედ იმიტომ, რომ ასეთის „борьба“-ს დამწყები თითონ იყო. ვინ მიხეილ ვახტანგიჩი და ვინ „некрасивая борьба“-ში გარევა! ცოდვა არ არის! წელს-კი ბანკის კრებაზედ ცოტა არ იყოს ხმა გაკმენდილი იყო ჩვენი „говорящій Мачабели“. რადაო, იკითხავთ. ამის პასუხად ერთს ლათაიას მოგახსენებთ. ერთს აფიცერს თურმე ჰკითხეს ბალში: რატომ არა ჰტანცაობო? Стоитъ-ли, უპასუხა აფიცერმა: какъ только начну, сейчасъ-же выведутъ“-ო. აი თავისის თავის ამბავი რომ სცოდნია, რა ჰკვიანად მოქცეულა აფიცერი. ჰკუაზედ ხომ არც მიხეილ ვახტანგიჩია უკაცრაოდ: მაშ პორტფელს ტყუილ-უბრალოდ ატარებს იღლიას ქვეშ!

მე როცა პალატის ტრიბუნაზედ ვსდგევარ, საპარლამენტო წესიერებას დიდს პატივსა ვსცემო... და თუ „общественный противникъ“-მა რამე მაწყენინა, ამის წამალიც ვიცი — ხმალში გამოვითხოვო... მერე ვაჟკაცობა არ შემშვენის თუ?!. „Я призвалъ все свое мужество и у меня его хватило на столько, что могъ хладнокровно и съ полнымъ терпѣніемъ дождаться окончанія этой весьма странной сцены“-ო... აი გულ-გაუტეხობა და ყოჩაღობაც ამას ჰქვიან! კატონიც არა ყოფილა ასეთის მტკიცე ხასიათისა! ეხუმრებით — „все свое мужество“ და „полное терпѣніе“!.. ფრანგებმა რომ შეიტყონ, ხელიდგან გამოგვაცლიან მიხეილ ვახტანგიჩს, და მაშინ ხომ დავიღუპებით... ფრანგები, როცა „борьба партій“ გაცხარდება, კრივობენ კიდეც პალატაშიო. აბა არ შეშურდებათ მიხეილ ვახტანგიჩის „мужество“ და „терпѣніе“!..

მიხეილ ვახტანგიჩი თავის წერილს სასიხარულო ამბით ათავებს — ხუთი მანეთი შევიტანე და ერთ-ხმად (единогласно) ამომირჩიეს დრამატიულ საზოგადოების წევრადო; თუ ვაჟაია არა ვარ, „პროტესტი“ რატომ არავინ გამოაცხადაო... ჰოდა, მეტი გამარჯვება-ღა შეიძლება — მიხეილ ვახტანგიჩი ერთ-ხმად ამოირჩიეს!? თვით დიდებულს გლადსტონსაც არასოდეს არა ჰღირსებია ასეთი გამარჯვება! ხუმრობა საქმე ხომ არ არის ეს ერთ-ხმად ამორჩევა! მიხეილ ვახტანგიჩი საპარლამენტო კაცია, იცის არჩევანების საქმე და დიდადაც აფასებს „დეპუტატის“ ერთ ხმად არჩევას... განა ტყუილად ჰგონია ჩვენი დრამატიული საზოგადოება ნამდვილ პარლამენტად!?

მაგრამ აქ სასაცილო უფრო ისაა, რომ, დრამატიულ საზოგადოების წესდების ძალით, წევრის ასარჩევად მარტო ხუთის მანათის შეტანაა საჭირო — ხმის ჩამოტარება არ უნდაო. წრევანდელ კრებაზედ მიხეილ ვახტანგიჩის პატრონი და ბატონი, თ. ი. გ. მაჩაბელი, ამტკიცებდა, რომ უხუთმანეთოდაც შეიძლება კაცი წევრად გახდეს, ამისთვის, წესდების ძალით, მარტო ერთის სურვილის გამოცხადება კმარაო. აბა წაიკითხეთ ამ კრების ანგარიში და თვით წესდება, თუ მართალს არ ამბობდეს პატრონი და ბატონი მიხეილ ვახტანგიჩისა! მიხეილ ვახტანგიჩი-კი უზომო სიხარულს მისცემია, რომ ერთ ხმად ამოირჩიეს და „Новое Обозрѣніе“-ს უსაყვედურებს, ჩემი გამარჯვება რისთვის შეგშურდა და საქვეყნოდ არ გამოაცხადეო. ჰო-და, რატომ დეპეშა არ აფრინეთ, მიხეილ ვახტანგიჩი ერთხმად ამოირჩიესო?! ევროპაში მაინც შეეტყოთ ეს ამბავი, თუ ჩვენ ამ დიდებულ ამბებისათვის ყრუნი ვართ. გლადსტონი მაშინვე მილოცვის დეპეშას გამოუგზავნიდა და გაგდებული ბისმარკი შურით მოკვდებოდა.

მეც გავათავებ და ახლა თქვენ გეკითხავთ: განა მიხეილ ვახტანგიჩის წერილი თავიდამ ბოლომდე „mania grandiosa“-ს ნაყოფი არ არის? განა ასეთს სენს „დეზინფექცია“ არ ესაჭიროება?!..

Plebs

ცვა. ებრაელებს, რასაკვირველია, ნებით არ მიუციათ ყაჩაღებისათვის ფული და რაც ღონე ჰქონიათ, გასძალებიან და დაუწყიათ ყვირილი. ამის გამო გაონავრებულს ავაზაკებს ორი ებრაელი უკვე მოუკლავთ, ერთიც დაუჭრიათ და გასდგომიან გზას. ადგილობრივი პოლიცია დროზედ დაფაცურდა და კიდეც მიაგნო დამნაშავეთა კვალს: რამდენიმე ავაზაკთაგანი უკვე შეიპყრო და დანარჩენთა შესაპყრობადაც ყოველ გვარი ღონისძიებაა ხმარებული

კვირას, 21 ამ თთვისას, სოფ. ტოლაში ერთი ფრიად სამწუხარო ამბავი მოხდა: გლეხმა ბართლომე ცხურავაშვილმა უნებლიედ გასროლილის რევოლვერით მოჰკლა თავის მეზობელი იასონ ცხურავაშვილი. ზემოხსენებული ბართლომე, იასონ და რაჟდენ ცხურავაშვილები წასულან ერთად ქრებალოს დუქნებში, რომელიც იქვე მახლობლად არის, იქიდამ დაბრუნებულან საღამოს ჟამზედ, გამოუვლიათ თუ არა რამოდენიმე მანძილი დამსხდარან მოსასვენებლად. იმ დროს რაჟდენს ამოუღია რევოლვერი და დაუწყია სინჯვა, მერმეთ ეს რევოლვერი გამოურთმევია ბართლომეს და იმასიც სინჯვა და ჩხიკინი დაუწყვია; ამ დროს უცებ დაშვებულა ჩახმახი. ტყვია მოხვედრია შიგ შუბლში საბრალო იასონს და სასიკვდილოდ დაუჭრია; ვერ გაუძლო ჭრილობას და იმავე ღამეს გარდაიცვალა. მიცვალებულიასე ოცდა-ორის თუ სამის წლის ყმაწვილი კაცი თუ იქნებოდა. ბართლომე და რაჟდენი მაშინვე დაიჭირა ადგილობრივმა მამასახლისმა, მაგრამ იმათი დასჯა თვით გარდაცვალებულის ქირისუფალთაც არა სურთ, რადგან მოკლულსა და მომკვლელ შორის არავითარი შური და მტრობა არ ვოფილა.

ქაიხოსრო გელოვანი

## დეპეშა

17 ივლისი

**პეტერბურგი.** „Journal de St.-Petersbourg“-ი სწერს: სოფიაში უკანასკნელი სიკვდილის დასჯის გარდაწყვეტილება ჩვეულებრივმა სასამართლომ-კი არ დაადგინა, არამედ სამხედრო სასამართლომ, და ნამდვილ საბუთებზედ-კი არ არის დამყარებული, არამედ უბრალო ეჭვის გამო და ყალბის ქაღალდების საბუთით. გაზეთი ჰკიცხავს ბოლგარიის ეხლანდელ მმართველთ, სტამბულოვის გულქვავობასა და კობურგის პრინცის შეუბრალებლობას.

გაზეთს „Рус. Жиз.“-ს გამოეცხადა პირველი გაფრთხილება არა სასურველ მიმართულებისა და უსაფუძვლო ხმების დაბეჭდვისთვის

„Прав. Вѣст.“-ი იუწყება: შინაგან საქმეთა მინისტრის მიერ საზღვარ-გარეთიდგან მოტანილის კარბოლის სიმჟავის უმეტესი ნაწილი გაიგზავნა: ვორონეჟისა, ნიჟეგოროდისა, კოსტრომისა, ტვერისა, ორენბურგისა და პენზის გუბერნიებში, დასავლეთის 9 გუბერნიაში, კავკავის რკინის გზაზედ და ეკატერინბურგში. სამედიცინო დეპარტამენტმა კიდევ დაიბარა პროვინციებისათვის კარბოლის სიმჟავე და სულემა. ხარკოვის გუბერნიაში როსტოვიდგან მოსულ მუშათა შორის 14 ივლისს გარდაიცვალა 1, კიდევ ავად გახდა 3; ადგილობრივ მცხოვრებთაგანი არავინ გამხდარა ავად. ხოლერიან ადგილებში გარდაიცვალა 1163, ამათში 84 ურალის ოლქის ქალაქ გურიევში და 3 კონსტანტინოგრადსკის მაზრის ქალაქ პეტროვსკში.

„Гражданинъ“-ი იუწყება: ფინანსთა მინისტრი გუშინ-წინ სამინისტროში მუშაობდა; იმის ბრძანებით შეკრებილია ცნობანი შაქრისა და ნავთის წარმოების შესახებაო.

18 ივლისი

**პეტერბურგი.** 17 ივლისი. ბირჟა: ტფილისის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის $6^0/_0$-ან გირავნობის ფურცლებში იძლევიან $102^3/_4$ მან., $5^0/_0$-იანი გაიყიდა $99^3/_4$ მანეთად. ქუთაისისაში იძლევიან $102^3/_4$ და $99^1/_2$ მან., ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოების ობლიგაციებში იძლევიან $98^3/_4$ მან.

**ბუქარესტი.** ყოველს საქონელს, რომელიც-კი მოდის შავისა და აზოვის ზღვით, თერთმეტის დღის განმავლობაში კარანტინ ქვეშ ამყოფებენ. კიუსტენჯის პორტი თავისუფალია საფოსტო გემებისათვის, მხოლოდ იმ პირობით-კი, რომ წინდაწინვე უნდა გასინჯონ და შემოწმებულ უნდა იქმნან.

**პარიჟი.** დოქტორი დარემბერგი ამტკიცებს, რომ პარიჟის მაზრაში გაჩენილი ხოლერა მართლა ინდოეთიდგან შემოტანილი ხოლერაა, მაგრამ უკვე შესამჩნევად ეკარგება ძალაო.

**ლონდონი.** აჯანყება ავღანისტანში ემირის წინააღმდეგ თანდათან უფრო ძლიერდება.

პეტერბურგის ბირჟა, 17 ივლისი

| | მყიდველისა. | | გამყიდველისა. | | გაყიდულისა. | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | მან. | კ. | მან. | კ. | მან. | კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო . | 7,98 | | 8,01 | | — | ,, |
| ტამოჟნის კუპონები . | $159^1/_2$ | | 160 | | — | ,, |
| მანეთიანი ვერცხლის ფული . . . . | 1,08 | | 1,10 | | — | ,, |
| $5^0/_0$ პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . . | — | ,, | — | ,, | $235^1/_2$ | |
| —მეორისა . . . . . | — | ,, | — | ,‘ | 224 | |
| სახელმწიფო თავად-აზნაურობის ბანკის მომგებ. ფურცელი . . | — | ,, | — | ,, | — | ,, |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა: | | | | | | |
| $6^0/_0$ . . . . . . | — | ,, | — | ,, | — | ,, |
| $5^0/_0$ . . . . . . | — | ,, | — | ,, | — | ,, |
| ქუთაისის ბანკისა $6^0/_0$. | — | ,, | — | ,, | — | ,, |
| $5^0/_0$ . . . . . . | — | ,, | — | ,, | — | ,, |
| $5^0/_0$ ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა | — | ,, | — | ,, | — | ,, |

### გამოსადეგი ცნობანი

მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზე

### რკინის გზის მიმოსვლა

ტფილისიდგან ბათუმს მიდის საფოსტო მატარებელი 9 ს. 30 წ. დილ.

ბათუმიდგან ტფილისს მოდის. .. 9 ს. 52 წ. საღ.

„ . . . . . „ . 12 ს. 25 წ. შუად.

ტფილისიდგან ბაქოს მიდის 1 ს. 25 წ. შუადღ.

ბაქოდგან ტფილისს მოდის „ . . 5 ს. 50 წ. საღ.

ტფილისსა და განჯას შუა.

ტფილისიდგან განჯას მიდის . . 9 ს. 20 წ. საღ.

განჯიდგან ტფილისს მიდის „ . . 7 ს. 30 წ. დილ.

ბათუმიდამ გადის:

ხუთშაბათობით: დღისით 4 საათზე მოკლე გზით, შეივლის ნოვოროსიისკში, კვირაობით ღამის 2 საათზე, შორის გზით, შეივლის ფოთსა და ყველა ნავთსადგურში. ორშაბათობით, საღამოს 7 საათზე, საზღვარ გარედ სტამბოლში.

ბათუმში მოდის:

ორშაბათობით: საღამოზე, ოდესიდგან, შორის გზით. პარასკეობით, დილით, ოდესიდგან, მოკლე გზით, გამოივლის ერჩსა და ნოვოროსიისკზე. კვირაობით დილით, სტამბოლიდგან.

ფოთში მოდის:

საფოსტო და სახალხო ბათუმიდგან კვირა დილით, განთიადისას.

საფოსტო და სახალხო ოდესიდგან ორშაბათობით, დღისით.

სახალხო და საქონლისა კვირაობით, საღამოზე, ოდესიდგან. სახალხო და საქონლისა ბათუმიდგან ხუთშაბათობით, გაადისაით.

ფოთიდგ გადის:ან

საფოსტო და სახალხო ოდესაში და ყველა ნავთსადგურში შეივლის, კვირაობით, დილის 8 საათზე

საფოსტო და სახალხო ორშაბათობითი-საქმის გათავების შემდეგ ბათუმში.

სახალხო და საქონლისა ბათუმში, სამშაბათობით, დილის 10 საათზე.

სახალხო და საქონლისა ხუთშაბათობით, ოდესაში და ყველა ნავთ-სადგურში შეივლის.

საქონლისა და სახალხო გემზე II და III კლასის მოგზაურები მიიღებიან უსაგზლოდაც.

### ნიხრი

1892 წ. 4 მარტიდგან ახალ განკარგულებამდე.

თეთრი პური რუსული 1 გირ. „ კ.
წითელი „ 1-ის ხარისხ. „ „ „
„ „ 2
თონ. წით. პურ. 1 ხარ. „ „ „
„ „ „ 2 „ „ „
„ „ „ 3 „ „ „

ჯვარის მამის პურის ლავაში.

1-ის ხარ. პურ. ლავაშ. 1 გ. კ.
მე-2 „ „ „ „ .
მე-3 „ „ „ „ „
ძროხის ხორცი 1-ის ხარისხისა 8 „
„ „ 2 „ „
სუკი — — — 14 „
ცხვრის ხორცი — — 9 „
ღორ. ხორ. უტყაოდ 1 ხარ. 1 გ. 7 „
მე-2 ხარ. ტყავიანად 6 „

# განცხადებანი

საკომერციო კურსები

(ტფილისი მთის ქუჩა, № 9)

ამით ვაცხადებ, რომ ამა წლის ივნისში ეს მეათედ შეასრულეს სპეციალური საკომერციო სწავლა მოსწავლე ქალებმა და ვაჟებმა იმ პროგრამით, რომელიც დამტკიცებულია კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველის მიერ, და მიეცათ კიდეც ჯეროვანი მოწმობანი. ვისაც სურს საკომერციო სასწავლებელში სწავლა დამთავრებულნი სამსახურში მიიწვიოს, შეუძლიან მიჰმართოს კურსების დამაარსებელს ს. პ. მანუელიანცს.

საკომერციო კურსებში მიღება დაიწყება 1 ენკენისთვიდგან. პროგრამისა და კურსების წესდების მიღება და დაბარება შეიძლება კურსების სადგომიდგან და ძმათა წოვიანოვების ბანკის კანტორაში, სიონის ქუჩაზედ. (24—80—4)





ტფილ. გამოფენა.




ვერცხლისა




ოქროსი

ЗАВОДЪ
МАСЛЯНЫХЪ КРАСОКЪ
А. А. ТУТАЕВА.

*Кузнецкая ул., ниже Солдатскаго базара.*

Принимаются постройки, ремонты и окраски домовъ, крыпъ, фасадовъ и проч. Имѣются въ продажѣ всевозможныя лито-типографическія масляныя и сухія краски, кисти, масла и прочее ручается за добросовѣстное исполненіе работъ и доброкачественность матеріаловъ.

ძოძლო თუთაევის

ზეთიანის კრასკების ქარხანა იარმუკაზედ

ტფილისში:

ვიღებ ქ. ტფილისში და საქართველოს რკინის გზის სადგურებთან ორის ვერსის სიახლოვეზედ სახლების აშენებას, აგრეთვე სახლების შეკეთებას (ремонтъ) და შეღებვას (полная окраска домовъ). ვყიდი ფაბრიკის ფასით ვაზღვარ-გარეთიდამ მოსულს ლიტო-ტიპოგრაფიის, ხუდოჟნიკის და ფეტონების წასასმელს ყველა ნაირ ფერის კრასკებს: ალიფს, ლაქს, გუმირაიკს, მასას, ბრონძს და ყველა ამათ მოწყობილების იარაღს.

ვამზადებ ჩემს კრასკის ქარხანაში ყოველ ნაირ ზეთით გალესილს კრასკებს. ვპირდები ყველას, რომ ყოველი ჩემ მიერ გაკეთებული საქმე და ჩემგან ნასყიდი კრასკები იქნება უტყუარი და საქმე პირობისამებრ ჩაბარებული.

ვაძლევ სანდო ადგილებში საქმის სიმკვიდრისათვის ერთის წლიდამ სამ წლამდე ზალოგს.

კრასკები შეიძლება დაიბარონ სხვა ქვეყნებში ოცის პროცენტის ბსეი გამოგზავნით, დანარჩენს ფასს გარდაიხდიან დანიშნულს ადგილზედ საქონლის მიღების დროს (наложеннымъ платежомъ). (48—28)

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

„ივერია“

1892 წ. 1-ს იანვრიდამ გამოვა ყოველ-დღე გარდა იმ დღეებისა, რომელნიც ზედ მოსდევენ კვირა-უქმეებს.

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 12 თთვით. . . . | 10 მ.—კ. | | 6 თთვით . . . | 6 მ.—კ. |
| 11 ,, . . . | 9 ,, 50,, | | 5 ,, . . . . | 5 ,, 50,, |
| 10 ,, . . . | 8 ,, 75,, | | 4 ,, . . . . | 4 ,, 75,, |
| 9 ,, . . . | 8 ,, —,, | | 3 ,, . . . . | 3 ,, 50,, |
| 8 ,, . . . | 7 ,, 25,, | | 2 ,, . . . . | 2 ,, 75,, |
| 7 ,, . . . | 6 ,, 50,, | | 1 ,, . . . . | 1 ,, 50,, |

საზღვარ-გარეთ დაბარებული ეღირება 17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ ,,ივერია‘‘ მთელის წლით დაეთმობათ 8 მან. ტფილისის გარედ მცხოვრებთ უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით: Тифлисъ. Въ редакцію грузинской газеты ,,ИВЕРІЯ“.

თუ ტფილისში დაკვეთილი გაზეთი ტფილისს გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმე, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; სხვა ყოველის ადრესის შეცვლაზე—40 კაპ.

თუ თთვის განმავლობაში დაიკვეთა ვინმემ გაზეთი არა მთელის წლით, იმას მხოლოდ შემდეგის თთვის პირველ დღიდგან გაეგზავნება. განცხადება მიიღება გაზეთის რედაქციაში.

ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის:

ა) მეოთხე გვერდზედ თითო ჯერ სტრიქონი 8 კაპ., პირველზე—16 კაპ. ბ) სრული უკანასკნელი გვერდი 30 მანათი, ხოლო პირველი გვერდი—60 მანათი. რიცხვი სტრიქონებისა გამოინგარიშება იმის გვალობაზე, რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

ხელ-ნაწერი და საგაზეთოდ დანიშნული წერილები კორესპონდენციები, რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოიგზავნოს. მიღებული ხელ-ნაწერები, ან საგაზეთო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებულ, ან შესწორებულ იქმნება. არ-დასაბეჭდს ხელ-ნაწერებს, თუ ერთის თთვის განმავლობაში პატრონებმა არ მოიკითხეს, მერე რედაქციას ველარ მოსთხოვენ.

არა-გვარს მიწერ-მოწერას არ-დაასაბეჭდთა ხელ-ნაწერებისა და წერილების შესახებ რედაქცი არა ჰკისრულობს.

პირდაპირ მოლაპარაკებისათვის რედაქცია თავისუფალი იქნება ყოველ-დღე, კვირა-უქმეებს გარდა, პირველ საათიდგან სამ საათამდე-და საღამოობით 7-დგან 8 საათამდე.

რედაქცია იმყოფება: კუკიაში, ნიკოლოზის ქუჩაზე, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში №.


Дозв. ценз. Тифлисъ, 18-го Іюля 1892 г. სტამბა შ. შარაძისა. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.